საქართველოს ეროვნული საბჭო / საქართველოს პარლამენტი - მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონიკა••

1917 წლის 22 ნოემბერი - ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო 67 წევრის შემადგენლობით. სოციალ-დემოკრატი - 25, სოციალისტ-ფედერალისტი - 10, ეროვნულ-დემოკრატი - 9, სოციალისტ-რევოლუციონერი - 6, „ალიონის“ ჯგუფი - 4, რადიკალ-დემოკრატი - 1, უპარტიო - 2, აჭარიდან - 3, სოხუმის ოლქიდან - 2, ზაქათალის ოლქისთვის - 1, ქართველი ოსებისთვის - 1.

1917 წლიდ 26 ნოემბერი - ჩატარდა საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა. სხდომას ეროვნული საბჭოს 45 წევრი ესწრებოდა. სხდომაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 15 წევრის შემადგენლობით: სოციალ-დემოკრატები - ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი, ს. ჯიბლაძე, ა. ლომთათიძე, ა. ფარნიაშვილი, ჰ. აბაშიძე, პ. საყვარელიძე („ალიონი“); სოციალისტ-ფედერალისტებიდან - გრ. რცხილაძე, ი. გედევანიშვილი; სოციალისტ-რევოლუციონერებიდან - კ. მესხი, ვ. გობეჩია; ეროვნულ-დემოკრატებიდან - გ. გვაზავა, გ. ვეშაპელი; სამაჰმადიანო საქართველოდან - მ. აბაშიძე (დროებით)

1917 წლის 28 ნოემბერი - ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც იმავდროულად ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმადაც ითვლებოდა. პრეზიდიუმის შემადგენ-

---

•• ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-23-2950

ლობა 6 წევრით განისაზღვრა: თავმჯდომარე, თავმჯდომაროს სამი ამხანაგი (მოადგილე), მდივანი და ხაზინდარი. თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ჟორდანია, მის ამხანაგად ა. ჩხენკელი, გრ. რცხილაძე, გ. ვეშაპელი, მდივნად - პ. საყვარელიძე, ხაზინადარად - კ. მესხი.

იმავე სხდომაზე დაარსდა 8 კომისია სხვადასხვა საქმეთა გასაძღოლად: ქონების, სამხედრო, საფინანსო, სასამართლო და ადმინისტრაციის, სასკოლო და ხელოვნების, სახალხო მეურნეობის და სურსათის, სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის და საერობო. ამ კომისიებს შემდეგში საბჭოს სექციები ეწოდათ,

ახლადარჩეულ პრეზიდიუმს დაევალა ეროვნული საბჭოს სახელით ქართველი ერისადმი მოწოდება შეემუშავებინა.

1917 წლის 3 დეკემბერი - ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე კომისიებს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან გამგეები დაენიშნათ. მათ დაევალათ განსაკუთრებული კომიტეტების შედგენა, რომლებშიც ყველა ფრაქციიდან თითო წარმომადგენელი უნდა შესულიყო. დაემატა ერთი ახალი კომისიაც - ჯანსაღობის.

1917 წლის 6 დეკემბერი - ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული მიმართვა ქართველი ერისადმი.

1917 წლის 8 დეკემბერი - ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიიწვიეს საქართველოში ჩამოსული აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩები. ანტანტისაგან იარაღით დახმარებას ითხოვდნენ.

1917 წლის 10 დეკემბერი - ეროვნული საბჭოს მეორე კრებაზე დაისვა საქართველოს სხვა სახელმწიფოებისგან ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი.

1917 წლის 26 დეკემბერი - შედგა ეროვნული საბჭოს მე-4 კრება. განიხილეს ქართული ჯარის შექმნის საკითხი, როგორც

რევოლუციის მონაპოვართა დაცვის და ქართველთა ფიზიკური არსებობის შენარჩუნების აუცილებელი პირობა.

1917 წლის 30 დეკემბერი - ეროვნული საბჭოს მე-5 კრებაზე გაგრძელდა მობილიზაციის ჩატარების პროექტის განხილვა.

1918 წლის 3 იანვარი - საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციის შესახებ“.

1918 წლის 21 იანვარი - გაიმართა ეროვნული საბჭოს მე-6 სხდომა. განიხილეს ამიერკავკასიის სეიმის შექმნის საკითხი. სეიმის შემადგენლობა 120 წევრით განისაზღვრა. სეიმის პირველი სხდომა 1918 წლის 10 თებერვალს გაიმართა.

1918 წლის 11 თებერვალი - ეროვნული საბჭოს მე-8 სხდომაზე განიხილეს ეროვნული საბჭოს გაფართოების საკითხი, რათა მას პარლამენტური დაწესებულების ხასიათი მიეღო.

1919 წლის 28 იანვარი - საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათ-ვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა“.

1918 წლის 19 თებერვალი - ეროვნული საბჭოს მე-9 სხდომაზე განიხილეს ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების საკითხი, მოხსე-ნებით გამოვიდა აკაკი ჩხენკელი, რომელმაც ისაუბრა ამ მიმართუ-ლებით სეიმის მიერ გაწეულ მუშაობაზე. სეიმი მოითხოვდა 1914 წელს არსებული საზღვრების შენარჩუნებას. ასევე განიხილეს ამი-ერკავკასიის დამოუკიდებედ ლ სახელმწიფოდ გამოცხადების საკი-თხი.

1918 წლის 26 მარტი (8 აპრილი) - ეროვნული საბჭოს მე-11 საგანგებო სხდომაზე განიხილეს ბათუმის საკითხი, გადაწყდა

ბათუმის დასაცავად „მილიტარული და ფინანსური ძალების მობილიზაცია“.

1918 წლის 22 აპრილი - ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.

1918 წლის 9 მაისი - ეროვნული საბჭოს მე-14 სხდომაზე გადაწყდა ამიერკავკასიის სახელმწიფოს კონსტიტუციის შედგენის პარალელურად საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენა.

1918 წლის 12 მაისი - ეროვნული საბჭოს მე-15 კრებაზე კონსტიტუციის შესახებ მოხსენებით წარსდგა სერგო ჯაფარიძე.

1918 წლის 16 მაისი - ეროვნული საბჭოს სხდომაზე გაგრძელდა ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციების საკითხი.

1918 წლის 26 მაისი - საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-19 სხდომაზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1918 წლის 29 მაისი - განიხილეს ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის საკითხი. რეორგანიზაციის შემდეგ ეროვნული საბჭოს შემადგენლობა 121 წევრით განისაზღვრა. ეროვნულმა საბჭომ საკანონმდელო ორგანოს სახე მიიღო.

1918 წლის 6 ივნისი - ეროვნული საბჭოს სხდომაზე ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე.

1918 წლის 11 ივნისი - საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ შექმნეს კომისია ირაკლი წერეთლის თავმჯდომარეობით. კომისიას დაევალა ისტორიულ-გეოგრაფიულ პრინციპზე დაყრდნობით მეზობელ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის საზღვრების დადგენა.

1918 წლის 21 ივნისი - ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ეროვნული საბჭოს სხდომები გაიმართებოდა კვირაში ორჯერ - სამშაბათს და პარასკევს, დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე.

1918 წლის 24 ივნისი - ეროვნული საბჭოს მე-12 საგანგებო სხდომაზე განიხილეს ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით არსებული მთავრობის განცხადება გადადგომის შესახებ. ახალ მთავრობას სათავეში ნოე ჟორდანია ჩაუდგა.

1918 წლის 28 ივნისი - ეროვნული საბჭოს სხდომაზე განიხილეს და მიიღეს ეროვნული საბჭოს 172-მუხლიანი რეგლამენტი.

1918 წლის 2 ივლისი - ეროვნულმა საბჭომ განიხილა საბჭოს წევრთა საქმიანობის ანაზღაურების საკითხი. საბჭოს წევრს დღიურად 30 მანეთი დაენიშნა.

1918 წლის 2 ივლისი - საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახალხო გვარდიის შესახებ.

1918 წლის 16 ივლისი - ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დებულება „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა“.

1918 წლის 16 ივლისი - ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახალხო სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელი 3-თვიანი კურსების შექმნის შესახებ.

1918 წლის 2 აგვისტო - ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შესახებ.

1918 წლის 20 აგვისტო - ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარის და მუდმივი ჯარის შევსების“ შესახებ.

1918 წლის 3 სექტემბერი - ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ.

1918 წლის 6 სექტემბერი - ეროვნული საბჭოს სხდომაზე განიხილეს დებულება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ, რომლის საბოლოო ტექსტი 20 სექტემბერს მიიღეს.

1918 წლის 10 სექტემბერი - ეროვნულმა საბჭომ მიიღო საბოლოო ტექსტი კანონისა საქართველოს რესპუბლიკის დროშის შესახებ.

1918 წლის 13 სექტემბერი - ეროვნულმა საბჭომ საბოლოოდ დაამტკიცა კანონპროექტი ეროვნულ უმცირესობათა საბჭოში წარმომადგენლობის შესახებ. საბჭოში უნდა შესულიყო ეროვნული უმცირესობის 26 წარმომადგენელი: 10 სომეხი, 4 თათარი, 3 აფხაზი, 2 რუსი, 2 ოსი, 2 ქართველი ისრაელი, 1 ებრაელი, 1 ბერძენი, 1 გერმანელი.

1918 წლის 13 სექტემბერი - ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების შესახებ.

1918 წლის 20 სექტემბერი - ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დროშისა“.

1918 წლის 24 სექტემბერი - ეროვნულმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ.

1918 წლის 1 ოქტომბერი - საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა.

1918 წლის 4 ოქტომბერი - ეროვნული საბჭოს სხდომაზე განიხილეს საკანონმდებლო დაწესებულების სახელწოდების შეცვლის

საკითხი. ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ეროვნული საბ-ჭოსთვის „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდებინათ.

1918 წლის 8 ოქტომბერი - ეროვნული საბჭოს 45-ე სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს საბოლოო ტექსტი კანონისა ეროვნული საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ.

1918 წლის 11 ოქტომბერი - მიიღეს კანონი ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონების გამოქვეყნების წესის შესახებ.

1918 წლის 25 ოქტომბერი - პარლამენტის სხდომაზე განიხილეს დებულება დამფუძნებელი კრების არჩევის შესახებ.

1918 წლის 26 ოქტომბერი - საქართველოს პარლამენტმა გა-ნიხილა სომხეთთან სამხედრო კონფლიქტის საკითხი. მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნა, რომ საქართველო მომხრეა „ყოველი სადავო საკითხის მშვიდობიანი საშუალერბით გადაწყვეტის“, ამავე დროს „არავის ნებას არ მისცემს რესპუბლიკის საზღვრებში იარაღით შემოიჭრას“.

1918 წლის 29 ოქტომბერი - საქართველოს პარლამენტის სხდომაზე პარლამენტის წევრებს ნოე რამიშვილმა აცნობა, რომ შვეიცარიის, შვეციის და დანიის მთავრობებმა საქართველოს დამო-უკიდებლობა სცნეს.

1918 წლის 22 ნოემბერი - საქართველოს რესპუბლიკის პარ-ლამენტმა დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნე-ბისა“. აირჩიეს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1918 წლის 26 ნოემბერი - საქართველოს რესპუბლიკის პარ-ლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში გაუქმდა,

1918 წლის 1 დეკემბერი - გაიმართა საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან 6 თვის გასვლის გამო.

1918 წლის 13 დეკემბერი - პარლამენტის სხდომაზე სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ მოხსენება გააკეთა სომხეთთან მიმდინარე სამხედრო კონფლიქტთან დაკავშირებით.

1918 წლის 17 დეკემბერი - საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით პარლამენტში მოხსენებებით გამოვიდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და სამხედრო მინისტრი გრ, გიორგაძე.

1918 წლის 27 დეკემბერი - საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სამხედრო დროშის შესახებ.

1918 წლის 27 დეკემბერი - ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა „აღწერილობა საქართველოს რესპუბლიკის გერბისა“

1918 წლის 27 დეკემბერი - საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულება. საბჭოს შემადგენლობა 40 წევრით განისაზღვრა.

1919 წლის 3 იანვარი - საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გადაწყდა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნების პირველ დღედ დაინიშნა 14 თებერვალი.

1919 წლის 4 იანვარი - პარლამენტის სხდომაზე განიხილეს სომხეთთან საომარი მოქმედებების შეწყვეტის საკითხი.

1919 წლის 31 იანვარი - საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება: 1. შეჩერდეს პარლამენტის მოქმედება 31 იანვრიდან; 2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დამფუძნებელი კრების შეკრების დღიდან; 3. დამფუძნებელ კრებას მოიწვევს პარლამენტის

პრეზიდიუმი და პარლამენტის ცენტრალური დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია.

1919 წლის 4 მარტი - საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმისა და დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის ერთობლივ სხდომაზე გადაწყდა, რომ დამფუძნებელი კრება მუშაობას შეუდგებოდა 12 მარტს.

1919 წლის 7 მარტი - საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმისა და დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის ერთობლივ სხდომაზე განისაზღვრა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება უნდა მოეწვიათ სასახლეში, პარლამენტის დარბაზში. დაამტკიცა ასევე დამფუძნებელი კრების დღის წესრიგი: 1. თავმჯდომარის არჩევა; 2. თავმჯდომარე წარმოთქვამს მოკლე სიტყვას და კითხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელზედაც ხელს აწერენ დეპუტატები; 3. თავმჯდომარე კითხულობს მილოცვის დეპეშებს და წერილებს.

მოამზადა მალხაზ მაცაბერიძემ